ოთხშაბათი
10 ნოემბერი
1954 წელი
№ 90 (792)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

# პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

დიდი ოქტომბრის ოცდამეჩვიდმეტე წლისთავი ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა იგი სიხარულით და ზეიმით აღნიშნეს. 7 ნოემბერს მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოვიდა ქალაქების, სოფლებისა და მუშათა დაბების ქუჩებში. მათ მოჰქონდათ პლაკატები, მაკეტები, დიაგრამები, რომლებიც მოგვითხრობენ სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებზე, საჩუქრებზე, რომლებიც სამშობლოს მოუმზადეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა.

ჩვენი სამშობლოს ხალხთა ფიქრები და გული მიპყრობილი იყო მოსკოვისადმი — დიდი სოციალისტური სახელმწიფოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამცველის — დედაქალაქისადმი. ამ დღეს აქ, წითელ მოედანზე, გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია.

ლამაზი, სადღესასწაულო სამოსით მორთო ძველი წითელი მოედანი. ისტორიული მუზეუმის შენობის ფასადზე ოქროსფერ გვირგვინებს შორის არის ღირსშესანიშნავი თარიღები: „1917" და „1954". შემოდგომის ქარი არხევს წითელ ალმებს სახელმწიფო უნივერმაღის სახურავზე. ალმები სამოცზე მეტია. ცენტრში ალმების ფონზე ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტებია. „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!" — მოგვიწოდებს უზარმაზარ წითელ ქსოვილზე წარწერილი ლოზუნგი. საბჭოთა კავშირის გერბი და მოკავშირე რესპუბლიკათა გერბები სიმბოლურად გამოხატავენ თავისუფალი საბჭოთა ხალხების ძმურ ერთობას. წითლად კიაფობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი.

პარადის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გრანიტის ტრიბუნებზე შეიკრიბნენ მოსკოვის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეები, მინისტრები სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. აქვე არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სამხედრო ატაშეები. ტრიბუნებზე უცხოეთის მრავალი დელეგაციაა.

შეწყობილი ტაში გაისმა კრემლის კედლის გაყოლებით. ლენინისა და სტალინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი, აგრეთვე მარშლები, ადმირალები და გენერლები.

კრემლის მაცხოვრის კოშკის საათის მოოქროვილი ისრები ათს აჩვენებენ.

მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია ავტომობილით გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი და გაემართა მოედნის ცენტრისაკენ. ჯარები გასწორდნენ. გუგუნებს შეხვედრის მარშის მუსიკა. მინისტრს უახლოვდება პარადის სარდლის არმიის გენერალ კ. ს. მოსკალენკოს მანქანა. აი გაჩერდნენ ისინი. მოედნის ყოველ კუთხეში გაისმის პატაკის სიტყვები: მოსკოვის გარნიზონის ჯარები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად ჩამწკრივებული არიან პარადისათვის.

იწყება ჯარების ჩამოვლა. საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი მიესალმება სამხედრო აკადემიების მსმენელებს, მეზღვაურებს, ნორჩ სუვოროველებსა და ნახიმოველებს, მესაზღვრეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, მედესანტეებს, მოტოქვეითებსა და არტილერისტებს. თავდაცვის მინისტრი პარადის მონაწილეებს მიულოცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულს. რამდენიმე წუთს გრძელდება ჩამოვლა, რამდენიმე წუთს წითელ მოედანზე, მახლობელ ქუჩებში და მოედნებზე, სადაც ჯარები ჩამწკრივებულან, გაისმის „ვაშას" გრიალი. იგი ფარავს ორკესტრების ხმას, რომლებიც შეხვედრის მარშს უკრავენ.

კიდევ წუთი — და გაისმა გლინკას „იდიდეს" გულში ჩამწვდომი მელოდია. საზეიმოდ ჟღერს იგი ჩვენი სამშობლოს დამცველების — საბჭოთა შეიარაღებული ძალების — მეომრების მწყობრის წინ. საბჭოთა ხელისუფლების 37 წლიწადში შეიქმნენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შესაფერისი ჩინებულად აღჭურვილი საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ისინი ფხიზლად იცავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრებს, საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ნ. ა. ბულგანინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდა. აელვარდა ფანფარები, აფრიალდა მათი ალისფერი ალმები. ვერცხლივით აწკრიალდა ფანფარის სიგნალი „ისმინეთ ყველამ!". მარშალმა ბულგანინმა წარმოთქვა სიტყვა.

ჯარისკაცთა „ვაშა" შეუერთდა არტილერიის სალუტის ზალპებს. გაისმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

წითელ მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. ხმამაღლა გაისმის ბრძანების სიტყვები. ამოძრავდნენ კოლონები. დაიწყო ცერემონიული მარში.

ნარნარად ირხევა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი, ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის დროშა. დროშა მოაქვს საბჭოთა კავშირის გმირს პოდპოლკოვნიკ რეშეტნიკოვს. მის მარჯვნივ და მარცხნივ არიან ასისტენტები — საბჭოთა კავშირის გმირები უფროსი ლეიტენანტი ბელოზერცევი და მაიორი ნოვიკოვი. კოლონას მოუძღვის გენერალ-პოლკოვნიკი კუროჩკინი. მას მოჰყვებიან გენერლები კოლგანოვი, შკოდუნოვიჩი, კოლესნიჩენკო.

ფრუნზეს სახელობის აკადემიის შემდეგ წითელი მოედანი გაიარეს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანმა, წითელდროშოვანმა სამხედრო-პოლიტიკურმა აკადემიამ, ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანმა და სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენოსანმა საარტილერიო-საინჟინრო აკადემიამ, სტალინის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების აკადემიამ, კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიამ, წითელდროშოვანმა სამხედრო-საჰაერო აკადემიამ, ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიამ, ჩვენი ქვეყნის უძველესი სამხედრო სასწავლებლის — მოსკოვის, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა.

ისტორიულ მუზეუმთან შეირხა თეთრ-ცისფერი სამხედრო-საზღვაო ალამი. თეთრ ფონზეა წითელი ვარსკვლავი და ნამგალი და ურო. მაყურებლები აღტაცებით შეხვდნენ სამხედრო ფლოტის წარმომადგენლებს — მ. ვ. ფრუნზეს სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის მეთაურებსა და კურსანტებს. მოდიან მომავალი საზღვაო ოფიცრები, რუსეთის ფლოტის ტრადიციების დამცველნი და განმგრძობნი.

მეზღვაურთა პოლკს მოუძღვის მრავალი ორდენის კავალერი კონტრ-ადმირალი ბოგუსლავსკი. ჩინებული სწავლით, მაღალი დისციპლინით მოიპოვეს პარადზე გამოსულ გუნდში ჩადგომის უფლება კურსანტებმა ლუკიანენკომ, ანტროპოვმა, უსტინოვმა, გრინენკომ, შუბინმა და სხვებმა.

მაყურებლები სიყვარულით უცქერდნენ პარადის ყველაზე ნორჩ მონაწილეებს — სუვოროველებსა და ნახიმოველებს. ბიჭები მოზრდილებივით სწორი მწყობრით, ჯარისკაცურად გამოკვეთილი ნაბიჯით მოდიოდნენ.

წითელი მოედანი დაცარიელდა. გაისმის მოტორების გუგუნი. ისტორიული გასავლელიდან გამოჩნდნენ მ. ი. კალინინის სახელობის ტამანის სუვოროვის ორდენოსანი წითელდროშოვანი გვარდიის დივიზიის მანქანები. მოდის მექანიზებული ქვეითი ჯარი — ბრძოლის ველის მეფე. პირველ ჯავშანტრანსპორტიორზე ბრძოლებში შეტრუსული დივიზიის დროშაა. დროშაზე გამოსახულია დიდი ლენინი. ოქროსფრად არის მოხატული სიტყვები „ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის". სამშობლოსათვის იბრძოდა დივიზია 1941 წელს სმოლენსკის ოლქში, იბრძოდა კურსკთან, დონის როსტოვთან, ყუბანის სივრცეებში, კავკასიონის მისადგომებთან, ყირიმში, ბელორუსიის ტყეებში, ლიტვასა და ლატვიაში. დივიზიამ იერიში მიიტანა კენიგსბერგზე. ოცდასამჯერ მისცა სალუტი მის პატივსაცემად მოსკოვმა.

მოედანზე შემოდის არტილერია. არტილერისტებს მოუძღვიან გენერლები ლიხაჩოვი, იგნატოვი და სანკო. ყოველი საბჭოთა ადამიანის გული ივსება სიამაყით: სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვა სამშობლომ თავისი არმია.

აგუგუნდნენ, მსუბუქ კვამლში გაეხვიენ ტრაქტორის საწევრები. ისინი მოედანზე შემოდიან ერთსა და იმავე დროს კრემლისა და ისტორიული გასავლელებიდან. ყოველ საწევარს მიბმული აქვს მძლავრი ქვემეხი. ყველა საწევარი ახალი სისტემისაა, ყველა სწრაფმავალია. აქ არის სიახლენი, რომლებიც არ ყოფილა წინანდელ სამხედრო პარადებზე.

პარადი დამთავრდა სამხედრო ორკესტრის გავლით, გენერალ-მაიორ პეტროვის მეთაურობით.

წითელ მოედანზე გამართულმა პარადმა ცხადყო, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებმა თავიანთი სამხედრო ცოდნის ამაღლებაში, საბრძოლო ოსტატობის სრულყოფაში, ახალი ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში.

წყდება საბრძოლო მარშის ხმები. ამავე დროს ძლიერდება და ფართოვდება ახალი საზეიმო და სასიხარულო მუსიკა. წითელ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა კოლონები.

ნიავი არხევს სასპორტო საზოგადოებათა აბრეშუმის მრავალ დროშასა და ფერად ალმებს. თვალწინ იშლება საუცხოო, დაუვიწყარი სანახაობა — მთელ მოედანზე სასპორტო კოსტიუმებით გამოწყობილნი მწყობრად და მხიარულად მოდიან ფიზკულტურელები. რამდენი ძალა და სილამაზეა ახალგაზრდა, შრომასა და სწავლაში უნარიანი საბჭოთა სპორტსმენების მწყობრ რიგებში.

ალისფერი დროშები შრიალებენ კიროვის, ლენინის, კრასნაია პრესნიას, საბჭოთა და სხვა რაიონების კოლონების თავზე. მოსკოველები მოდიან დროშებით, ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებიც მოუწოდებენ ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში. ადამიანთა ნაკადის თავზე მოჩანს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ყვავილებით და წითელი ქსოვილებით მორთულია სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ქარხანა „დინამოს", „კრასნი პროლეტარის", შჩერბაკოვის სახელობის კომბინატისა და სხვა იმ მოწინავე საწარმოთა ემბლემები, რომლებიც დღესასწაულის წინ გამოვიდნენ პატრიოტული თაოსნობით — ვადამდე შევასრულოთ მეხუთე ხუთწლედი! ეს თაოსნობა განმტკიცებულია დიდი რეალური საქმეებით. ალისფერ ტილოებზე წარწერილია სიტყვები:

— ქარხანა „დინამომ" ვადამდე შეასრულა მძლავრი ელექტრომავლებისათვის ელექტრომოწყობილობის, სოფლის მეურნეობისათვის სათადარიგო ნაწილების გამოშვების წლიური გეგმა.

— 277 ლითონსაჭრელი ჩარხი გამოუშვა ათი თვის პროგრამის გადამეტებით ქარხანა „კრასნი პროლეტარმა".

— ავტოქარხანამ ათი თვის გეგმის დამატებით დაამზადა 178 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მოფრიალე ალმების ფონზე ოქროსფრად ბრწყინავს ვ. ი. ლენინის ბარელიეფი. ეს არის იმ სახელოვანი ქარხნის ემბლემა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძის სახელს ატარებს. მკაფიოდ მოჩანს საწარმოს პატაკი:

— ხუთწლედის დამდეგიდან შრომის ნაყოფიერება 70 პროცენტით გადიდდა!

დემონსტრანტთა ახალი და ახალი კოლონები სიმღერითა და მუსიკით მოდიან მოედანზე.

უეცრად გამოჩნდა ხეხილის ბაღი. მწვანე შტოებზე ჰკიდია ნამდვილი წითელი ვაშლები. მოდის დედაქალაქის შჩერბაკოვის რაიონი. უზარმაზარ პლაკატზეა მუშა და კოლმეურნე, მეგობრები და ამხანაგები შრომასა და ბრძოლაში. მათ თავზე მოჩანს ნამგალი და ურო — ისტორიული ემბლემა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა, რომელმაც უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და რომელიც საბჭოთა წყობილების ურყევ საფუძველს შეადგენს. ახლანდელ პირობებში სოციალისტური ქალაქის დახმარება კადრებით საკოლმეურნეო სოფლისადმი ამ კავშირის კიდევ უფრო მეტი განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა. სიამაყის გრძნობით კითხულობ ტრანსპარანტებზე:

— უკანასკნელი თვეების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 23.000 ინჟინერი და ტექნიკოსი.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით მტს-ებში კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის გაიგზავნა 100.000 აგრონომი და ზოოტექნიკოსი.

— 1954 წლის დამდეგისთვის მტს-ები აღჭურვილი იყვნენ 1 მილიონზე მეტი ტრაქტორით, 270 ათასი მარცვლეულის კომბაინით.

მჭევრმეტყველი ციფრი — „17 მილიონი" — ნიშნავს წელს ათვისებული ახალი მიწების ჰექტართა რაოდენობას. დემონსტრანტთა რიგებში არიან სტუმრები ყამირი მიწებიდან, კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კრასნოპრესნენსკის" ახალგაზრდობა — მოსკოვის კომკავშირის აღზრდილნი.

ოქროსფერ თავთავებშია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ემბლემა. გამოცდილება, რომელიც ამ გამოფენაზე გვიჩვენა თითქმის 170 ათასმა მონაწილემ, საყოველთაო-სახალხო სკოლა გახდა და ცხადყო სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში არსებული უსაზღვრო შესაძლებლობანი.

ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან მოსკოველ მშენებლებს, არქიტექტორებს. მათი შრომის მეოხებით ათასობით მუშათა ოჯახი შესახლდა დღესასწაულის წინ კეთილმოწყობილ ბინებში. 900 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ წელს მოსკოვში.

დღეს, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე, სიტყვა „მშვიდობა" გამოხატავს ჩვენი ხალხის ურყევ ნებას — დაიცვას მშვიდობის საქმე. მანიფესტანტებს თავიანთ დროშებზე მოაქვთ ხალხთა მეგობრობისა და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის იდეები, რომლებიც მახლობელია ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელისათვის.

დემონსტრანტებს მოაქვთ ფერადი პლაკატები, რომლებსაც ორ ენაზე აწერია: „საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრი ფაქტორია". სიყვარულით შესრულებულ მთელ რიგ პანოებზე ასახულია იმ გრანდიოზული ზეიმის ცალკეული ეპიზოდები, რადაც გადაიქცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაული. დროშების ფონზეა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილის ჯუ დეს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ლიუ შაოცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის პორტრეტები.

სახალხო პოლონეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში ასხივოსნებენ დიდი ოქტომბრის იდეები. მოედანზე შორს გაისმის გულის სიღრმიდან ამომხდარი მრავალხმიანი შეძახილი.

— ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს!

დემონსტრაციის მონაწილეებს მოაქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პორტრეტები, უცხო ქვეყნების კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

უთვალავ დროშებსა და ალმებში, რომლებიც მშრომელებს მოაქვთ მოედანზე, გამოირჩევა სიტყვები სსრ კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მზარდ მეგობრობასა და თანამშრომლობაზე.

წითლად კიაფობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი — ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

— გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, ომის თავიდან აცილებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

— დაე განმტკიცდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთისა და იტალიის ხალხებს შორის მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ევროპაში კოლექტიური უშიშროების შექმნისათვის!

რამდენიმე საათს გრძელდებოდა დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია. იგი იყო ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ძალების განუხრელი აყვავების მკაფიო დადასტურება, ჩვენი ქვეყნისა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმისაკენ. (საკდესი).

# პარადი და დემონსტრაცია თბილისში

7 ნოემბერს დილით ათასობით თბილისელი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე, რათა აღენიშნათ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყველაზე ბრწყინვალე და სასიხარულო დღესასწაული, გამოეთქვათ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, თავიანთი ურყევი მზადყოფნა კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, იშრომონ საყვარელი სამშობლოს სასახელოდ.

...რუსთაველის პროსპექტი სახალხო ზეიმის ცენტრია. აქ მოდის ადამიანთა ნაკადები. დღეს იგი საზეიმოდ, ლამაზადაა მორთული. მსუბუქი ქარი არხევს მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ვეებერთელა სახელმწიფო ალმებს. შენობათა ფასადებზე არის რევოლუციის გენიის, უკვდავი ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის — დიდი სტალინის პორტრეტები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან მოწყობილ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, მ. პ. გიორგაძე, ი. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჟედლიშვილი, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვები.

10 საათია. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის კარიდან ცხენით გამოდის ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. ფედიუნინსკი. გენერალ-პოლკოვნიკმა ფედიუნინსკიმ მიიღო პატაკი და ჩამოუარა ჯარებს, მიესალმა მათ და მიულოცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი. ქუხს „ვაშა" მისალმების პასუხად.

ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. გენერალ-პოლკოვნიკი ფედიუნინსკი ადის მთავრობის ტრიბუნაზე. საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით იგი სიტყვით მიმართავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებსა და საქართველოს მშრომელებს და ულოცავს მათ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს.

თავისი სიტყვის დასასრულ ამხ. ფედიუნინსკი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მიჰყავს მშრომელები ადამიანთა ბედნიერების მწვერვალებისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მძლავრი „ვაშა" არყევს ჰაერს. დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია, რომელსაც ცვლის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. იგრიალა საარტილერიო სალუტის ზალპებმა.

გაისმის ფანფართა ხმა. პროსპექტზე მოდიან ჯარები. მტკიცეა ნაბიჯი, ზუსტია ჯარების იმ ქვეგანაყოფთა მონოლითური სწორკუთხედები, რომლებმაც ტრიბუნას ჩაუარეს. მოდის მრისხანე საბრძოლო საბჭოთა ტექნიკა. განუწყვეტლივ უკრავს ნაკრები სამხედრო ორკესტრი.

პარადი დამთავრდა. ერთი წამი სიწყნარე ჩამოვარდა პროსპექტზე. მაგრამ აი გაისმის მუსიკის ხმა, ათასობით ადამიანის სიხარულის გუგუნი. იწყება თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების სადღესასწაულო დემონსტრაცია. დემონსტრაციას იწყებს მეტროშენთა კოლონა. შემდეგ მოდიან ქალაქის მოწინავე ადამიანები. ტრიბუნიდან მხურვალედ უკრავენ მათ ტაშს. პროსპექტზე მოდიან ნორჩი ლენინელები — პიონერები და მოსწავლეები. მათ მოაქვთ ყვავილები, მოაქვთ პლაკატები და ლოზუნგები. დამსწრენი მხურვალედ მიესალმებიან ბავშვებს — ხალხის იმედსა და მომავალს.

მაღლა ფრიალებენ შრომის დიდების შარავანდედით მოსილი დროშები. მოდიან საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები. მათ მოაქვთ ლენინისა და სტალინის პორტრეტები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. მაღლაა აღმართული ფარები და პლაკატები, რომლებზედაც მოჩანს შრომითი გამარჯვების ციფრები, რაც მოპოვებულია საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში.

მუსიკით და მხიარული სიმღერებით მოდიან პროსპექტზე ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვისა და თბილისის სხვა რაიონების მშრომელთა კოლონები.

ტრიბუნას ჩაუარეს ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. მოდიან სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ქალაქის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები. საქართველოში არის 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ამზადებენ ათასობით სპეციალისტს. საყოველთაო აღტაცებას იწვევენ ფიზკულტურელთა მწყობრი რიგები. ისმის მათი ახალგაზრდა წკრიალა ხმები. ერთმანეთს ერთვის ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული სიმღერების მელოდიები.

„ჩვენ მშვიდობა გვსურს..." ისმის ყველასათვის კარგად ცნობილი სიმღერის სიტყვები.

ჰაერში აფრინდნენ თეთრი მტრედები — მშვიდობის სიმბოლო.

დაუვიწყარია თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო მსვლელობა, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამოხატავს ამაღლებულ პატრიოტულ გრძნობებს.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია კვლავ მკაფიოდ მოწმობს ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი.

გვიან ღამემდე არ დამცხრალა ხალხის ზეიმი. ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე გაიმართა მასობრივი სეირნობა. (საქდესი).

## ფეხბურთის მოედნებზე

◆

### საფრანგეთი

**პარიზი.** 3 ნოემბერს „პარკ დე პრენსის" სტადიონზე მოსკოვის „დინამო" შეხვდა პროფესიონალი გუნდების „რეიმსისა" და „რესინგის" ნაკრებს, სადაც თამაშობდა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების 9 ძირითადი მოთამაშე.

მატჩი უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. პირველი ტაიმის დასასრულს დინამოელმა ვ. შაბროვმა ს. სალნიკოვის გადაცემიდან გაიტანა ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ თამაშში. მეორე ტაიმში ფრანგი ფეხბურთელები ენერგიულად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ დინამოელთა დაცვა და მეკარე იაშინი მოქმედებდნენ უშეცდომოდ.

დინამოელებმა დაამარცხეს ძლიერი მოწინააღმდეგე — 1:0.

### პოლონეთი

**ლოძი.** კიევის დინამოელთა მორიგი შეხვედრა გაიმართა ლოძში პოლონეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — „ვლუკნიაჟი" (ლოძი).

მეტად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა კიევის „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით — 5:3. ორი ბურთი გატანილ იქნა კ. გაგნიძის მიერ.

### ჩეხოსლოვაკია

4 ნოემბერს ლენინგრადის „ზენიტმა" თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ჩეხოსლოვაკიაში. ლენინგრადელები ბრატისლავაში შეხვდნენ რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ადგილობრივ „რუდე ზვეზდას".

„რუდე ზვეზდამ" დაამარცხა მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

### ლიბანი

4 ნოემბერს მოსკოვის „ტორპედომ" მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა ბეირუთში. მოსკოველები შეხვდნენ საბჭოთა გენერალ ბაგრამიანის სახელობის ლიბანის კლუბის გუნდს.

საბჭოთა ფეხბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო მთელი თამაშის განმავლობაში. „ტორპედომ" მოწინააღმდეგის კარში გაიტანა 10 „მშრალი" ბურთი. 7 ნოემბერს ტორპედოელებმა ითამაშეს ლიბანის ნაკრებთან და შეხვედრა მოიგეს — 6:0.

◆

## საპატიო მსაჯები

25 წლის განმავლობაში აქტიური და ზუსტი მსაჯობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო მსაჯის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯები: კ. კრავჩენკო (ფეხბურთში), გ. ევნატაშვილი (ტანვარჯიშში) და მ. ცხვედაძე (კალათბურთში).

## ფარიკაობის საბრძოლო ბილიკებზე

### საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში

ჯ. ზენაიშვილი   გ. გოგელია   გ. ჩხეიძე   გ. ჯაიანი   დ. ჭირაქაძე

★ ★

თბილისის „დინამოს" სტადიონის სპორტთამაშობათა დარბაზში ორი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა გუნდური შეჯიბრება ფარიკაობაში. მესამე დღეს დაიწყო პირადი პირველობა. ქალთა შორის რაპირით ბრძოლის ფინალში გავიდნენ ნ. კიკნაძე, ჯ. ზენაიშვილი, ლ. შეყრილაძე („ნაუკა"), თ. ტროფიმოვა, მ. ყველიაშვილი („მედიკი"), ს. შჩუკინა („ისკრა") და ი. ესაიაშვილი (თბილისის განათლების განყოფილება).

ჯერ კიდევ გუნდური შეხვედრებიდან ცხადი შეიქნა, რომ გასული წლის ჩემპიონი ზენაიშვილი ყველაზე კარგად იყო მომზადებული. იგი ტემპერამენტით, სწრაფად, შეტევითი სტილით იბრძვის და უშეცდომოდ ერკვევა ყოველ რთულ სიტუაციაში. მისი უპირატესობა ფინალურ ჯგუფში აშკარა იყო — ზენაიშვილმა მოიგო ყველა შეხვედრა და სულ მიიღო 4 ჩხვლეტა. მეორე ადგილი დაიკავა ესაიაშვილმა, რომელიც მხოლოდ ჩემპიონთან დამარცხდა. ორი წაგებით მესამე ადგილზე გამოვიდა შჩუკინა.

ძლიერმა მოფარიკავეებმა მოიყარეს თავი ვაჟთა შორის რაპირით ბრძოლაში, მაგრამ პირველი ადგილის პრეტენდენტი ძირითადად მაინც „ნაუკის" სამი წარმომადგენელი იყო — გ. ჩხეიძე, შ. ჯიქია და ტ. მესხი. ზედიზედ მოპოვებული რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ჩხეიძე და მესხი. როცა ანგარიში იყო 1:1 მებრძოლები სულ ახლოს მიიჭრნენ ერთმანეთს და მესხმა წესის დარღვევისათვის საჯარიმო ჩხვლეტა მიიღო, მაგრამ მაშინვე ანგარიში გაათანაბრა—2:2. მოფარიკავეები კვლავ შეებრძოლნენ ერთმანეთს, ფოლადის იარაღი ორივეს ხელში ელვის უსწრაფესად მოძრაობდა, განუწყვეტლივ ისმოდა ლითონის ყრუ ჟღერა. აი, მესხმა შეუტია. ჩხეიძემ დროზე აუკრა მახვილს მახვილი და მყისვე ჩხვლეტა მიაყენა მოწინააღმდეგეს —3:2. მხარეების შეცვლის შემდეგ ერთდროულ შეტევაში ჩხეიძემ დაასწრო მოწინააღმდეგეს — 4:2. ახლა შეტევაზე მესხი გადავიდა და სუფთად „დაჭრა" ჩხეიძე — 3 : 4. გადამწყვეტ შებმაში ახლო მანძილზე ორივე მოფარიკავე თამამად უტევდა და დროზე იცავდა თავს. ერთ ასეთ ურთიერთ შეტევისას ჩხეიძემ კვლავ კარგად შეარჩია მომენტი და მკვეთრი მოძრაობით თავის სასარგებლოდ დაამთავრა შეხვედრა — 5:3. ამის შემდეგ ბრძოლა ფაქტიურად მეორე ადგილისათვის წარიმართა. მესხმა ჯიქიასთან შეხვედრაში რამდენიმე მოუმზადებელი შეტევა ჩაატარა, რაზეც ჯიქია გაზომილი ზუსტი მოძრაობით პასუხობდა. ჯიქიამ მოიგო ბრძოლა 5:2 და მასთან მეორე ადგილიც.

მაყურებელი ყველაზე საინტერესო ბრძოლების მოწმე იყო ესპადრონში, სადაც ფინალში გასულთა უმრავლესობა ახალგაზრდობას შეადგენდა. ფინალისტთა ყოველი შეხვედრა შინაარსიანი, წარსტაც და თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და, ჩვეულებრივ, მცირე უპირატესობით მთავრდებოდა. თუ სხვა სახეობებში ლიდერები ადრე გამოვლინდებოდნენ ხოლმე, ესპადრონის ფინალში დაუმარცხებელი არავინ დარჩენილა. მეტიც — პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა გ. გოგელიამ („ნაუკა"), მაგრამ მან ორი შეხვედრა წააგო. მეორე ადგილისათვის თანაბარი მოგებები აღმოაჩნდათ ჯ. მაჭავარიანს („ნაუკა"), ნ. ასათიანს (თბილისის განათლების განყოფილება) და ზ. ბილანიშვილს („ნაუკა"). მათ შორის მოეწყო დამატებითი ბრძოლები. ასათიანმა დაამარცხა ორივე მოწინააღმდეგე და დაიკავა მეორე ადგილი.

...მსაჯი საბრძოლო ბილიკზე იწვევს ნ. ხარებოვს („ისკრა") და თ. ჭირაქაძეს (თბილისის ოფიცერთა სახლი). ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ადგილისათვის ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში — ჭირაქაძე მანამდე დაუმარცხებლად იბრძოდა, ხოლო ხარებოვს ერთი წაგება ჰქონდა.

★ ★

ბრძოლა დაიწყო. ხარებოვმა რამდენიმეჯერ მოინაცვლა ადგილი და მერე მოულოდნელი და სწრაფი ვარდნა გააკეთა წინ. ხიშტი მოხვდა მიზანს — 1:0. შემდგომ ურთიერთ შეტევებში ჭირაქაძემ ორჯერ ზედიზედ დაასწრო მოპირდაპირეს და ანგარიში გახდა 2 : 1 მის სასარგებლოდ. მან მესამედაც სცადა შეტევით მიეყენებინა ჩხვლეტა, მაგრამ ხარებოვმა ანაზდეულად აუკრა მას იარაღი და ანგარიში გაათანაბრა — 2:2. მებრძოლები ერთხანს დაზვერვას აწარმოებდნენ და როცა ჭირაქაძე მორიგ იერიშზე გადავიდა, ხარებოვმა მას ხიშტი აძგერა მხარში — 3:2. დადგა გადამწყვეტი მომენტი, როცა ინიციატივის ხელიდან გაშვება თითქმის უეჭველ დამარცხებას ნიშნავს, ამიტომ ჭირაქაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და შეუპოვარ იერიშზე გადავიდა. ხარებოვი ძლივს ასწრებდა მოწინააღმდეგის ხიშტის მოცილებას და თანდათან უკან იხევდა. აქ ჭირაქაძის იერიშები ეფექტური, მკვეთრი ჩხვლეტით დამთავრდა — 3:3. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, ტემპმა მოიმატა. მოწინააღმდეგეებმა კიდევ თითოჯერ „დაჭრეს" ერთმანეთი და საქმე ბოლო ჩხვლეტაზე მიდგა. ჭირაქაძემ კვლავ მიიტანა იერიში და რამდენიმე ცრუ მოძრაობის შემდეგ საბოლოო ჩხვლეტა მიაყენა ხარებოვს — 5:4.

ჭირაქაძემ დაუმარცხებლად დაამთავრა შეჯიბრება და ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილისათვის დამატებით ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ დინამოელი შ. ენდელაძე და ზ. თედეევი („ისკრა"). გაიმარჯვა პირველმა.

თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენელმა, ნორჩმა მოფარიკავემ გ. ჯაიანმა დაშნით ბრძოლაში დიდი მონდომებით ჩაატარა შეჯიბრება, დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგეები და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელი. მეორე ადგილზე გამოვიდა თ. შარაბიძე („ნაუკა").

**რ. ქორიძე**

## ფეხბურთის მოედნებზე

◆

### „შახტიორი" — „ა" კლასში

„ბ" კლასის ფინალისტთა ბოლო მატჩები განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გათამაშების ლიდერის, ადგილობრივი „შახტიორის" მთავარი მეტოქეების ბაქოს „ნეფტიანიკისა" და ვილნიუსის „სპარტაკის" შეხვედრას. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ერევნის „სპარტაკმა" დამარცხება განიცადა მოსკოვის „ზენიტთან" შეხვედრაში — 0:1. 4 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი" (ვილნიუსი) — „ზენიტი" (მოსკოვი). ანგარიშით 1 : 0 გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

5 ნოემბერს შედგა ტურნირის გადამწყვეტი მატჩი გათამაშების ლიდერს „შახტიორსა" და ბაქოს „ნეფტიანიკს" შორის. იმ შემთხვევაში, თუ ბაქოელები მოიგებდნენ თამაშს, სამ გუნდს — „შახტიორს", „ნეფტიანიკსა" და ვილნიუსის „სპარტაკს" უგროვდებოდა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 7.

მაგრამ „შახტიორმა" ადვილად მოუგო მოწინააღმდეგეს — 3:0 და მოიპოვა უფლება მომავალ წელს ითამაშოს „ა" კლასში.

## შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი

ოდესაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 1954 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის საუკეთესო გუნდები.

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა (მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი) თავის ქვეჯგუფში დაამარცხა კიევის (3:1), ლენინგრადის (4:0), სევასტოპოლის (3:0) და კრონშტადტის (2:0) გუნდები და წააგო ჩრდილოეთ კავკასიის გუნდთან — 0:2.

განსაკუთრებით კარგად ითამაშეს თბილისელებმა ფინალურ ჯგუფში, სადაც ერთნაირი ანგარიშით 2:0 მოუგეს ცსკა-ს დუბლიორებს და ოდესას, რევანში აიღეს ჩრდილოეთ კავკასიის გუნდთან — 3 . 1 და ფრედ ითამაშეს სვერდლოვსკთან — 2:2.

თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებმა უკვე მეოთხედ მოიპოვეს შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონობა.

ვ. ჟღენტი,
სპორტის ოსტატი.

### ისტორიული იახტა...

სტამბოლში შემოგვიერთდა ერთი ეგვიპტელი მგზავრი, რომლისგანაც თარჯიმანის დახმარებით ბევრი რამ გავიგეთ. მან გვიამბო სუეცის არხის გათხრისა და ეგვიპტის უკანასკნელი მეფის ფარუკის სამშობლოდან სამარცხვინოდ გაქცევის ისტორია.

ეგვიპტის მაშინდელი მეფე ევროპელებს იმ პირობით დათანხმდა სუეცის არხის გათხრაზე თუ არხს პირველად მისი იახტა გასცურავდა, რასაკვირველია ევროპელები ამაზე დათანხმდნენ. შემდეგ ის იახტა მეფიდან მეფის ხელში გადადიოდა, როგორც ისტორიული ნივთი. გავიდა დრო. ეს ისტორიული საზღვაო ხომალდი — სამეფო იახტა მრავალი საინტერესო ამბის უტყუარი მოწმე გახდა. ამ რამდენიმე წლის წინათ ეგვიპტის უკანასკნელმა მეფემ — ფარუკმა იგი დატვირთა განძეულობით სავსე 80 ჩემოდნით და კუდამოძუებულმა სამშობლოდან მოკურცხლა. იახტამ იგი იტალიის ერთ-ერთ ნავსადგურში მიიყვანა. აქ მეფე და იახტა სამუდამოდ დაცილდნენ ერთმანეთს. იახტის მომსახურე პერსონალმა არ ისურვა მეფესთან ერთად ემიგრაციაში ყოფნა და სამშობლოში დაბრუნდა.

— როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა! — ამაყად განაცხადა მოსაუბრემ.

ქაირო! — გაისმა ხმა, მგზავრები აჩოჩქოლდნენ.

### პირველი ნაცნობები

თვითმფრინავიდან გადმოსულებმა ჩვენსკენ მომავალი დიდი ჯგუფი დავინახეთ. აქ იყვნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები, კალათბურთის სპეციალისტები, ყველა მსგავსი ცერემონიალის აუცილებელი ნაწილი და მონაწილენი — ფოტორეპორტიორები და კორესპონდენტები...

კალათბურთის ფედერაცია ეგვიპტეში ყველაზე ძლიერი და მდიდარი ორგანიზაციაა. ეს გამოწვეულია სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული სიყვარულით. აქ კალათბურთს თამაშობს ყველა, ვისაც კი ამის საშუალება აქვს, გულშემატკივართა რიცხვი კი უთვალავია. აეროდრომზე დამხვდურთა შორის იყო ზოგიერთი ჩვენგანის ძველი ნაცნობი: ეგვიპტელი მსაჯი მოჰამედ აბუ ელ სუდი. იგი გულთბილად შეხვდა ქორქიას, ჯორჯიკიას და თავის კოლეგას — ვახტანგ ჯაფარიძეს. აეროდრომზევე გავიგეთ, რომ თამაში მეორე დღისთვის ყოფილა დანიშნული. უკვე თენდებოდა, როდესაც მივაღწიეთ ჩვენთვის განკუთვნილ სასტუმროს „გეზირ პალას ოტელს".

ქაიროში საბჭოთა კალათბურთელების ჩასვლას წინ უსწრებდა სასტუმროს მეპატრონეთა შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, თუ ვის მიეღო სტუმრები. ფეშენებელური ოტელი „სემირამისი" დოლარის წვიმით იმუქრებოდა. „გეზირ პალასის" მფლობელს კი მმართველ წრეებთან თავისი კავშირის იმედი ჰქონდა. „ოტელ არავია", რომელიც ერთ დროს სამგზავრო გემი იყო და დღეს კი ტურისტულ სასტუმროდ გადაკეთდა, პროტესტს აცხადებდა: „საბჭოთა ძალოსნები ჩვენთან ცხოვრობდნენ და კალათბურთელებმაც აქ უნდა მოისვენონო". გაიმარჯვა „გეზირ პალასმა" — ჩვენ იქ დავბინავდით.

სასტუმროში ასეთი წესი იყო: ვახშამი და საუზმე იმართებოდა მერვე სართულის აივანზე, ხოლო სადილი — მეორე სართულზე. მეორე დღეს მოგვართვეს ინგლისური ლენჩი—მიკროსკოპული ზომის ღვეზელი, ფორთოხლის ნაჭერი და კოკა-კოლა. თურმე ეს ყოფილა განთქმული ინგლისურ-ამერიკული საუზმე.

აქედან მთელი გუნდი გაემგზავრა საბჭოთა საელჩოში, სადაც გულთბილად, მეგობრულად შეგვხვდნენ ელჩი ამხ. დ. სოლოდი და საელჩოს წევრები. რამდენიმე ხნის შემდეგ ავტობუსი, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა, გაჩერდა მეფის სასახლის წინ. აქ ინახება სქელტანიანი წიგნი, რომელშიც ჩამოსული საპატივცემულო სტუმრები თავის გვარს აღნიშნავენ. საპატიო წიგნში აღიბეჭდა ჩვენი გვარებიც. ასეთივე მანიპულაციის გამეორება მოგვიხდა მინისტრთა საბჭოში. ჟურნალისტებთან ოფიციალური ვიზიტის შემდეგ სავარჯიშოდ გავემგზავრეთ.

უკვე საკმაოდ შებინდებული იყო, როდესაც ადგილზე მივედით. მოედანი ღია იყო, ფიცრის იატაკით და სუსტად განათებული. ტრიბუნებზე ჟურნალისტებისა და კალათბურთის სპეციალისტების ჯგუფი დაგვხვდა. მსუბუქი წვრთნის შემდეგ ჩავატარეთ ორმხრივი თამაში. მთელი ჩვენი შესაძლებლობა რასაკვირველია, არ გამოვავლინეთ. პირველმა ვარჯიშმა ეგვიპტელები ოდნავ დაამშვიდა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან შეიძლება თამაში და მოგებაც — ასეთი იყო მათი აზრი.

### ალექსანდრია

ეგვიპტის კალათბურთს საკმაოდ ფართო ისტორია აქვს. ბრწყინვალე გამარჯვებები მრავალ საერთაშორისო შეხვედრებში და 1949 წელს ევროპის ჩემპიონობა — ასეთია მოკლედ მათი წარმატებები. საბჭოთა კალათბურთელებთან შესახვედრად ეგვიპტელი სპორტსმენები დიდი ხანია ემზადებოდნენ. დაკომპლექტებულ იქნა ორი ნაკრები, რომელშიც შევიდნენ აფრიკის კალათბურთის საუკეთესო წარმომადგენლები. ცნობამ იმის შესახებ, რომ მათს სამშობლოში ჩამოდის საბჭოთა კავშირის ნაკრები კი არა, არამედ თბილისის „დინამო", ეგვიპტელები დაამშვიდა. მწვრთნელისა და სპეციალისტების ეშმაკური და ამავე დროს თავშეკავებული ღიმილი იმაზე მეტყველებდა, რომ ეგვიპტეს ამ შეხვედრაში მოგების შანსები ჰქონდა. მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივაო იფიქრეს და პირველად მეორე ნაკრებთან გვათამაშეს.

დილაადრიან ალექსანდრიისაკენ გავემგზავრეთ. ქაიროდან რამდენიმე წუთის სავალზე დავინახეთ გამწვანებული ადგილი, რომელიც მთელ გზაზე ერთადერთი ყოფილა. ძალზე გაგვიძნელდა 250 კილომეტრის გავლა 30-40 გრადუსიან სიცხეში. ხეებისა, ბუჩქებისა და გაზონების ნაცვლად გზაზე უხვად იყო რეკლამები. ისინი მეტწილად მგზავრებს მოუწოდებდნენ ესვათ კოკა-კოლა. ზოგიერთი ფირმა აქებდა თავის საათებს. ერთი მყვირალა რეკლამა ეგვიპტელებს მოუწოდებდა მანქანები შეეძინათ. მაგრამ გაღატაკებულმა მოსახლეობამ, რომელიც ეგვიპტეში საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს, რით უნდა შეიძინოს ეს მანქანები?

აფრიკულ უდაბნოში ქართული სიმღერა შემოვძახეთ ჩვენი კვარტეტის (ნიჟარაძე, გოძიაშვილი, ჯორჯიკია და მე) რეპერტუარით აღტაცებული დარჩა აბუ ელ სუდი, რომელმაც გვთხოვა ქაიროში დაბრუნებისთანავე თქვენი სიმღერა მაგნიტოფონით ჩამაწერინეთო.

...გამოჩნდა ალექსანდრია.

შევისვენეთ და გავეცანით დარბაზს, სადაც უნდა გვეთამაშნა. 7 ათასი მაყურებლის ტევადობის დარბაზი მშვენიერი იყო. გადახურულ კვადრატულ შენობას კედლები მინისა ჰქონდა.

7 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა (ვახტანგ ჯაფარიძე) და ეგვიპტელი მსაჯის ნიშანზე გუნდები მოედანზე მოეწყვნენ. ეგვიპტის მეორე ნაკრებში თამაშობდა პირველი ნაკრების რამდენიმე კალათბურთელი. ჩვენ ასეთი შემადგენლობით ჩავებით თამაშში: ქორქია, ჯორჯიკია, აბაშიძე, ინწკირველი და კილაძე.

უკვე პირველივე წუთებმა იმედი გაუცრუა ეგვიპტელებს. ჩვენებმა იმდენად თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს მასპინძლებს, რომ ზოგიერთი მათგანი დაბნეულობისაგან ერთმანეთს ასკდებოდა. ინდივიდუალური დაცვის პრინციპი, რაც ეგვიპტის კალათბურთელებმა აირჩიეს, ჩვენთვის ხელგამოჰრილი იყო. საბჭოთა კავშირის გუნდის თითოეული წარმომადგენელი მოწინააღმდეგეს თავისუფლად ასწრებდა თავდასხმაშიც და დაცვაშიც. ყოველ კარგად და, რაც მთავარია, სწრაფად შესრულებულ კომბინაციას დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდებოდა. ეს მატჩი, როგორც ცნობილია, მოვიგეთ ანგარიშით — 62:34.

მეორე დღე თავისუფალი გვქონდა და გადავწყვიტეთ ქალაქის დათვალიერება. საინტერესო იყო ეგვიპტის უკანასკნელი მეფის ფარუკის საზაფხულო სასახლე, რომელიც 200 ოთახისაგან შედგებოდა. აქედან ორი იყო არაბული და ჩინური სტილით მორთული. დანარჩენ დარბაზებს ფრანგული სტილის გავლენა ეტყობოდა. ფარუკს, როგორც შევიტყვეთ, მწვანე ფერი ყვარებია, ამიტომ ამ სასახლეში ყველგან მწვანე ფერს ვხვდებოდით. ფარუკს 40-მდე მუნდირი ჰქონდა — ეგვიპტის შეიარაღებული ძალების თითქმის ყველა პოლკის საპარადო ფორმა. აქვე იყო ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა სახელმწიფოების სამხედრო მუნდირები. დღის ბოლოს ხმელთაშუა ზღვაში ვისეირნეთ იალქნიანი ნავებით, ვნახეთ ისტორიული სამეფო იახტაც და საღამოს ქაიროში დავბრუნდით.

შუადღე იქნებოდა, როდესაც ოთახში მყოფთ მოგვესმა გოძიაშვილის ხმა. გავიხედეთ და თვალწინ წარმოგვიდგა საქორწინო პროცესია. ქალის მზითევი 3 ორთვალას მიჰქონდა. პროცესიას წინ მიუძღოდა სასულე ორკესტრი. ორთვალებს მიჰყვებოდნენ ქალის ნათესავები და ახლობლები. ასეთი წესი ყოფილა — მზითევი მთელმა ქალაქმა უნდა ნახოს.

ალექსანდრიაში ყოფნისას ვნახეთ ამერიკული მუსიკალური კინოკომედია. დღემდე გაკვირვებული ვარ, რატომ უწოდეს მას მუსიკალური— მხოლოდ ერთ მომენტში და ისიც წამით მოგვესმა მუსიკის მსგავსი კაკაფონია. ეს იყო და ეს.

### კიდევ ორი შეხვედრა

უცნაურად იყო განაწილებული ჩვენი შეხვედრების განრიგი. ყოველი თამაშის შემდეგ გვიხდებოდა 250 კილომეტრის გავლა ქაიროდან ალექსანდრიამდე და უკან. მეორე მატჩი მეორე ნაკრებთან დანიშნული იყო ქაიროში. იგი არაფრით არ განსხვავდებოდა პირველისაგან. ჩვენები ყოველმხრივ მაღლა იდგნენ მოწინააღმდეგეზე და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. მაგრამ არც ერთი ჩვენგანი ამ დღით კმაყოფილი არ იყო. სუსტმა სინათლემ, ზოგ შემთხვევაში ეგვიპტელი მსაჯის არაობიექტურობამ თამაში გაგვიფუჭა. ამას ისიც დაერთო, რომ მოედანზე ფეხი ცურავდა. მატჩი მოვიგეთ დიდი ანგარიშით — 57:37.

ეგვიპტელებს პირველი გუნდის გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდათ. პრესამ კურსი აიღო „ა" გუნდზე. „ეგვიპტის პროგრესი" და „ლა ბურს ეჟიპტიენი" იმედის თვალით შესცქეროდნენ ამ „ა"-ს. „მართალია, ქორქიას და მისი ბიჭების მოდრეკა ძნელი საქმეა ისე, როგორც უიარაღო ადამიანისათვის პანტერას დამორჩილება, მაგრამ იმედი გვაქვს ეგვიპტის პირველი გუნდი შეძლებს ამ სასწაულის მოხდენას" — წერდა „ლა ბურს ეჟიპტიენი"

პირადად მე პირველი ნაკრების თამაში არ მინახავს. მოსკოვში ევროპის პირველობას ბევრი ჩვენგანი დაესწრო, მათ იქ ნახეს ეგვიპტის „ა" გუნდი. ქორქიამ მათ წინააღმდეგ კიდეც ითამაშა, მაგრამ ეს სულაც არ იყო მთავარი. ჯერ ერთი — მას შემდეგ ხომ შეიძლება შემადგენლობა შეცვლილიყო, მეორე — ის იყო მოსკოვში, ახლა კი ეგვიპტელები თავიანთ სამშობლოში არიან, ამიტომ იბრძოლებდნენ ისე, როგორც არასდროს. ამ ფიქრებით გართულები მივდიოდით ალექსანდრიის კალათბურთის სტადიონისაკენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაშმა ეგვიპტის საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. აქ იყვნენ არა მარტო ალექსანდრიის მკვიდრნი, არამედ ჩამოსულებიც. მოედანზე სავარჯიშოდ ვაპირებდით გამოსვლას, როდესაც დარბაზში ტაშის ცემა ატყდა. გაკვირვებულებმა მიმოვიხედეთ, მაგრამ ვერაფერი საამისო ვერ შევნიშნეთ ოვაციამ იმატა. მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა მიგვახედა ტრიბუნისაკენ — იქ იდგა ეგვიპტის პრეზიდენტი ნაგიბი, მის გვერდით ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი პრეზიდენტის მრჩევლები.

ის იყო ვარჯიშის დაწყება დავაპირეთ, რომ დარბაზში ახალმა, უფრო მძლავრმა ოვაციამ იფეთქა. მოედანზე შემოვიდა პრეზიდენტი ნაგიბი, რომელიც პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართა, ხელი ჩამოგვართვა ყველას და გვისურვა წარმატება.

(გაგრძელება იქნება)

* * *

**სურათზე:** დინამოელი კალათბურთელები ხმელთაშუა ზღვაში სეირნობენ ნავებით. (ქვევით) საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. ჯაფარიძე.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 88.

### ეგვიპტური გაზეთებიდან

#### «ეგვიპტის პროგრესი»

ქორქიამ, საბჭოთა გუნდის კაპიტანმა, აღფრთოვანებაში მოიყვანა 4 ათასი მაყურებელი. ქართველებმა ეგვიპტელები დაჯაბნეს, როგორც ტემპში, ისე ტექნიკაში.

* * *

საბჭოთა გუნდის კოლექტიურობა ყველა წერტილში შესანიშნავი იყო. ჩვენ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ საბჭოელები მთელი შესაძლებლობით არ თამაშობდნენ, თორემ ისინი მთლად დაგვანგრევდნენ. მსაჯმა ჯაფარიძემ გამოიჩინა არაჩვეულებრივი ტექნიკა, სიზუსტე და რაინდობა.

* * *

ეს იყო ყველაზე ძლიერი შემადგენლობა, რომელიც ჩვენ გვსტუმრებია „ჰარლემ გლობ ტროტერსის" შემდეგ. ქართველი კალათბურთელები დასაყენებელნი არიან ამერიკელებისა და მდუღარე სამხრეთ ამერიკელების შემდეგ ან გვერდით.

* * *

საბოლოო ანგარიშში „დინამო" არის საუკეთესო ევროპული გუნდი — ევროპის ფალავანი. რა აქვს მას ასეთი განსაკუთრებული? თავდაპირველად კოლექტიური თამაში, ცოტა დრიბლინგი, ზუსტი გადაცემის სიუხვე, ზუსტი სროლები და რაც მთავარია თავბრუდამხვევი ტემპი და ბოლოს რკინისებური დისციპლინა.

### ეგვიპტური გაზეთებიდან

#### «ლა ბურს ეჟიპტიენი»

საბჭოთა არწივები არიან ჩვენთან, ეგვიპტეში ეს ტურნირი სენსაციას მოახდენს მთელი მსოფლიოს კალათბურთში. ქართველთა გუნდის წამყვანები არიან ჩვენი ძველი მეგობრები ქორქია და ჯორჯიკია. სტუმრების პროგრამა საკმაოდ გადატვირთულია, მაგრამ ამას ალბათ გვაპატიებენ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი საქართველოს „დინამო" ევროპაში ყველაზე ძლიერი გუნდია. ჩვენ ველოდით საბჭოთა ნაკრებს, მაგრამ არც ეს გუნდია ნაკლები.

* * *

სავარძელში კარგად მოკალათებულებმა, თვალებდაჭყეტილებმა ქართველების აღნაგობასა და ტექნიკაზე ჩვენი „ა" გუნდის წევრებმა გუშინ დაინახეს თავიანთი სამშაბათის, ხუთშაბათისა და შაბათის მოწინააღმდეგეები.

* * *

დინამოელებმა თავისუფლად დაამარცხეს ეგვიპტის „ა" გუნდი, რომელმაც ვერ გამონახა საჭირო კოლექტიურობა, რომ ჯებირები დაედო საბჭოთა სპორტსმენების იერიშების ნიაღვრისათვის.

* * *

სამშაბათს ჩვენი „ა" გუნდი დაამარცხა არა ეროვნულმა, არამედ კლუბურმა გუნდმა. დინამოელებმა მათ გაუხსნეს რიო დე ჟანეიროში გამგზავრება მსოფლიო პირველობაზე.

## დელისის იპოდრომზე

დიდი ხანია თბილისელებს არ უნახავთ ცხენოსანთა შეჯიბრება. უკანასკნელად 1950 წელს მოეწყო რესპუბლიკური პირველობა დელისის იპოდრომზე.

„კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ გადაწყვიტა თავისი სპორტსაზოგადოების პირველობა თბილისში ჩაეტარებინა. 8 ნოემბერს დელისის იპოდრომზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი, ისინი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს კოლმეურნე ცხენოსანთა შეჯიბრებას.

სრულ 12 საათზე მოეწყო პირველობაში მონაწილე გუდაუთის, სოხუმის, ქობულეთის, ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, სიღნაღის, ზესტაფონის, აბაშის, ყაზბეგის, თიანეთის აგრეთვე ყულარის ცხენსაშენისა და ბოგდანოვკის გუნდების პარადი.

პირველობა დაიწყო საშუალო კლასის დაბრკოლებათა გადალახვით. 29 მონაწილიდან საუკეთესო და ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდათ მატარაძეს (სოხუმი), აფციაურს (სიღნაღი), ხოჯაევს (ქუთაისი), მელიას (ფოთი), ქლენტს (აბაშა) და თინა კვაჭანტირაძეს (ფოთი). მათ შორის მოეწყო დამატებითი შეჯიბრება, სადაც გაიმარჯვა მატარაძემ. აფციაურმა დაიკავა მეორე ადგილი ხოჯაევმა—მესამე.

როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია ხევსურთა დოღმა მთიდან დაშვებით. აქ პირველობა მოიპოვა ყაზბეგელმა ქ. არაბულმა.

ჩეხვის ზოლი ყველაზე კარგად განვლო სოხუმელმა წურწუმიამ. ცხენოსნობის ვეტერანი გ. ივანიძე (ცხაკაია) მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო მესამეზე — აბაშელი კუპრეიშვილი.

პირველ დღეს ისინდში ერთმანეთს შეხვდნენ ქობულეთისა და ზესტაფონის, ცხაკაიასა და სიღნაღის გუნდები. გაიმარჯვეს პირველებმა. იგივე გუნდები თამაშობდნენ ცხენბურთსაც. გამარჯვება კვლავ ქობულეთისა და ცხაკაიას ცხენოსნებს ხვდათ წილად.

დასასრულ, მოეწყო მარულა 8 კილომეტრზე. ფინიშის ხაზი პირველად გადაკვეთა ცხაკაიას გუნდის წევრმა ნ. ჩიქობავამ, რომლის დროა 10:40,6. ზესტაფონელმა გ. პაპინაძემ დაიკავა მეორე ადგილი, ა. ჯიქიამ (ჩოხატაური) — მესამე.

შეჯიბრება გრძელდება...

## სპორტული ქრონიკა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა მოიპოვეს ეკონომიკის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს შ. მაღალაშვილმა, მ. საგინაშვილმა, გ. ჩაფურიშვილმა, გ. იმედაძემ, რ. კრიჭინაშვილმა, ო. სეინიშვილმა. ქვემძიმე და მძიმე წონებში შეჯიბრება არ ჩატარდა.

**თ. სკანდერაშვილი.**

• • •

თელავის მოსწავლე კალათბურთელთა პირველობაზე ჭაბუკთა შორის გამარჯვება მოიპოვა I საშუალო სკოლის გუნდმა, გოგონათა შორის — მეხუთე რუსული საშუალო სკოლის კოლექტივმა. ფრენბურთელთა ტურნირში როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა გუნდებში გამარჯვებული გამოვიდნენ რუსული საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**ნ. ცერცვაძე.**

• • •

ამას წინათ დამთავრდა ქლუხორის რაიონის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. რაიონის ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა 75 სპორტსმენი. გუნდური პირველი ადგილი დაიმსახურეს ქართული საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი.

**გ. ჯელაძე.**

# სპექტაკლი სპორტსმენებზე

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი დადგმა

ქართულ დრამატურგიას ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ვალი აქვს. მას ჯერ არ შეუქმნია ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც საინტერესოდ და საქმის ცოდნით აღწერილი იყოს სპორტსმენთა ცხოვრება, პირადი განცდები. ამის შესახებ ჩვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა, პირველმა ჩვენს რესპუბლიკაში, განახორციელა სპორტულ თემაზე დაწერილი პიესის დადგმა. მიმდინარე წლის სეზონში მან მაყურებელს უჩვენა ი. გეჯაძის მუსიკალური კომედია „ორი რეკორდი“, ლიბრეტოს ავტორია კ. მახარაძე.

პიესიდან ჩანს, რომ ლიბრეტოს ავტორი კ. მახარაძე კარგად იცნობს თემას, რომელზედაც წერს. სწორედ ეს დახმარებია თეატრის კოლექტივს და მის დამდგმელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს არჩილ ჩხარტიშვილს პიესის წარმატებით განხორციელებაში. თეატრის კოლექტივმა შეძლო გადაელახა ის სიძნელეები, რომელიც თან სდევს სპორტულ თემაზე დაწერილ პიესას. რეჟისორის ხელი ჩანს მხატვრულად დასრულებულ ცალკეულ სცენებში, მიზანსცენებში, მსახიობთა თამაშში. განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული სპექტაკლის ბოლო მოქმედება, სადაც იგრძნობა გრანდიოზულობა და საზეიმო განწყობილება, მშვიდობისათვის ბრძოლის მტკიცე სურვილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, სპექტაკლის მთლიანობას ხელს უშლის სუსტად დამუშავებული ცალკეული ადგილები. მაგალითად, უფერული და ხელოვნურია სცენა სპორტდარბაზში (მეორე მოქმედება) მონაწილე მსახიობთა უმრავლესობის ასაკი არ შეეფერება განსასახიერებელ როლებს. ამას გარდა, ისინი ზუსტად ვერ ასრულებენ ვარჯიშებს, ერთმანეთს უშლიან მოძრაობას. ხელოვნური განცდებითაა გადატვირთული ტარიელ ჯანბერიძისა და მარინა პეტრენკოს გაცნობის სცენა. უკანასკნელ მოქმედებაში ზედმეტია გიტარაზე დამკვრელის პარტერში შემოსვლა.

პიესის მთავარი გმირის ავთანდილ ბერიძის როლს თ. ხელაშვილი ასრულებს. მსახიობი კარგად ფლობს მეტყველების ხელოვნებას, სასიამოვნო ტემბრით, ლამაზი სცენური გარეგნობით ხიბლავს მაყურებელს. ხელაშვილი-ბერიძე კეთილშობილური, თავდაჯერილი, კოლექტიურობისა და მეგობრობის ღრმა რწმენით გამსჭვალული საბჭოთა სპორტსმენია.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. მოსეშვილი ტარიელ ჯანბერიძის როლს ანსახიერებს. ნ. მოსეშვილი მაყურებელს უყვარს, როგორც ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ მის მიერ განსახიერებულ როლებს ერთფეროვნების იერი დაჰკრავს. აღნიშნულ სპექტაკლში ნ. მოსეშვილს თავისუფალი თამაშით გატაცების, რომლისადმი ზერელე დამოკიდებულების ნიშნები ემჩნევა, რაც უდავოდ უარყოფით გავლენას ახდენს ტიპის სახის შექმნაზე.

უშუალობით და ტემპერამენტით გამოირჩევა ლ. ბერძენიშვილი. მისი მარინე პეტრენკო ცოცხალი, რეალური და ბუნებრივია, მსახიობს გულმოდგინედ უმუშავნია როლზე, მაყურებელს მისი განცდის სჯერა.

მსახიობ თ. ბერძენიშვილს გარეგნობა და კარგი ვოკალური მონაცემები ხელს უწყობს ირინა პეტროვას როლის დასრულებულად წარმოსახვაში. სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით შ. ნაცვლიშვილზე. მისი მიშჩუკი არაბუნებრივი, მოუქნელი მოძრაობით, გაუმართავი დიქციით შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მაყურებელზე.

დასამახსოვრებელ, მიმზიდველ სახეებს ქმნიან ე. ჩოხელი (ილინიშნა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ბერიაშვილი (კუზმიჩი), მ. ხოფერია (ბერტა გენიკე), დ. კენნერი (ლენა კოვალიოვა).

ი. გეჯაძის მუსიკა უფერულია, მასში არ იგრძნობა სპორტული ემოციურობა, სიხალისე, სიცოცხლე.

რამდენიმე სიტყვა პიესის ნაკლოვანებაზე.

ავთანდილ ბერიძე ამყარებს სტუდენტთა საერთაშორისო რეკორდს, რომელიც ზანგ მაკ ალანს ეკუთვნის. ნახევარი საათის შემდეგ გაზეთში ამოიკითხავს, რომ ძველ რეკორდსმენს კვლავ გაუუმჯობესებია რეკორდი. ამით ავთანდილის რეკორდს ძალა ეკარგება. იმედგაცრუებული ავთანდილი ამბობს: „მაცდურია უეცარი გამარჯვებაო“. საინტერესოა, რას უწოდებს ავტორი უეცარ გამარჯვებას? ალბათ შემთხვევითობას. ჩვენის აზრით, რეკორდი, რომლისთვისაც რამდენიმე წლის მანძილზე სპორტსმენი დაუღალავად და წარმატებით მუშაობს, სრულებით არაა „უეცარი“ და შემთხვევითი.

თუ ავთანდილ ბერიძის სახე ასე თუ ისე გამოკვეთილი და დასრულებულია, სამაგიეროდ მეტად მკრთალია სხვა მოქმედი პირები. მაგალითად, კალათბურთელ ტარიელ ჯანბერიძეს სპორტული მიღწევების შესახებ, მხოლოდ ორიოდე სიტყვით და ისიც მეტად ზერელედ გვამცნობს ავტორი პირველ და უკანასკნელ მოქმედებაში („უკანასკნელ წუთში ვესროლე ბურთი კალათში და გავიმარჯვეთ“, ან უფრო მოკლედ — „გავიმარჯვეთ“).

მაყურებლისათვის გაუგებარია ვლადიმერ მიშჩუკის სპორტული ცხოვრებაც. მას მხოლოდ პირველ მოქმედებაში ვეცნობით, როგორც მოკრივეს, შემდეგ კი მის შესახებ არაფერი არ ისმის.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მიერ დადგმული „ორი რეკორდი“ სათანადო როლს შეასრულებს სპორტის პროპაგანდის საქმეში.

**ნ. ანდრონიკაშვილი,**
სპორტის ოსტატი,
**ზ. გომართელი.**

• • •

**სურათებზე:** (ზევით მარცხნიდან) თ. ხელაშვილი (ავთანდილ ბერიძე), ლ. ბერძენიშვილი (მარინე პეტრენკო), ნ. მოსეშვილი (ტარიელ ჯანბერიძე). ქვემოდ—სცენა პირველი მოქმედებიდან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## შემოქმედებითი მეგობრობისათვის

საბჭოთა ლატვიის საჭადრაკო კომპოზიტორებთან შემოქმედებითი მეგობრობისა და საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ურთიერთ გაცვლის მიზნით, ლატვიის რესპუბლიკურმა სპორტულმა ჟურნალმა „ფიზისკა კულტურამ“ ჩვენი გაზეთის საჭადრაკო განყოფილებას გამოუგზავნა ცნობილი ლატვიელი კომპოზიტორების ამოცანები, რომლებსაც ვაქვეყნებთ გაზეთში.

„ფიზისკა კულტურას“ რედაქციას ჟურნალში დასაბეჭდათ გადაეგზავნა საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორების გ. ნადარეიშვილის, ი. კრიხელისა და ი. შოსტის ამოცანები და ეტიუდები.

◆

### ვ. ვედერსი და ა. დომბროვსკის (რიგა)



შამათი ორ სვლაში.

• • •

### ი. დრაისკა (რიგა)



შამათი სამ სვლაში.

• • •

### ზ. პიჩიტსი (ბალდონე)



შამათი ოთხ სვლაში.

• • •

ამოცანის სწორ ამომხსნელთა გვარები გამოქვეყნდება გაზეთში.

# საკავშირო ნახევარფინალი

**ერევანი.** (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). საკავშირო პირველობის ნახევარფინალურ ტურნირში, რომელიც მიმდინარეობს ერევნის სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში, ბრძოლა გრძელდება.

მესამე ტურში გურგენიძე შეხვდა ოსტატ სოკოლსკის. პოზიციის გამარტივების შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა შიშოვ-ლილიენტალის პარტიაც.

შიშოვი (მავები) მეოთხე ტურში ეთამაშებოდა გროსმაისტერ კოტოვს. ძველინდურ დაცვაში შიშოვმა ენერგიული თამაშით ხელთ იგდო ინიციატივა და კუს მოხდენილი მანევრით პაიკი მოიგო. პარტია ენდშპილში გადავიდა, მაგრამ ამ დღეს იგი არ დამთავრებულა. პარტია გადადებულია.

გურგენიძე ძველინდურ დაცვაში ილივიცკისთან დასაწყისშივე მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა. ილივიცკიმ მიუხედავად გურგენიძის მედგარი დაცვისა, მაინც სძლია მოწინააღმდეგეს და გაიმარჯვა.

მეხუთე ტურში გურგენიძე-კორჩნოის პარტიაში ახალინდური დაცვა გათამაშდა. დებიუტიდან გურგენიძე პოზიციურად მოსაწყენი მდგომარეობით გამოვიდა. მაგრამ შემდგომში დაუშვა შეცდომა და ინიციატივა დაკარგა. ენდშპილში გადაყვანით მან თანაში გაამარტივა და ყაიმს მიაღწია. შიშოვმა ოსტატ მოისეევის წინააღმდეგ სიცილიურ დაცვაში იერიში წამოიწყო. მისი გაძლიერებისათვის მან პაიკიც შესწირა, რომელიც შემდგომ უკეთეს ვითარებაში უკან დაიბრუნა. მაგრამ ცაიტნოტში უხეშად შეცდა და ფიგურა დაკარგა. პარტია გადაიდო.

მეექვსე ტურში გურგენიძემ ენერგიულად გაითამაშა დებიუტი ოსტატ ბანნიკის წინააღმდეგ. კომბინაციური გართულებების შემდეგ ენდშპილში მან აიძულა ოსტატი დანებებულიყო.

შიშოვმა სოკოლსკისთან სუსტად გაითამაშა პარტიის დასაწყისი. ლაზიერის ფრთაზე გეგმიანი დაწოლით სოკოლსკიმ გაიმარჯვა.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს შიშოვი დანებდა მოისეევს, ხოლო პარტია კოტოვთან კვლავ გადადო 82-ე სვლაზე მოსაგებ მდგომარეობაში.

**ა. ბუსლაევი,**
ოსტატობის კანდიდატი.

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3 90 34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 15460